ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

6 ივნისი ხუთშაბათი 1991 №65 (11698)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

კომისიამ შეაჯამა 1991 წლის 26 მაისს ჩატარებული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შედეგები.

ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაადგინა:

1. საქართველოს რესპუბლიკაში ამომრჩეველთა საერთო რიცხვი — 3604810. არჩევნების მონაწილეთა რიცხვი — 2978247, კენჭისყრის მონაწილეთა რიცხვი — 2968945, ბათილად ცნობილი ბიულეტენების რიცხვი — 39018;

2. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა:

ბატონი ზვიად გამსახურდია — 2565362, ბატონი ირაკლი შენგელაია — 26886, ბატონი ჯემალ მიქელაძე — 51717, ბატონი ვალერიან ადვაძე — 240243, ბატონი თამაზ კვაჭანტირაძე — 8553 ბატონი ნოდარ ნათაძე — 36266;

3. „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის თანახმად,

ა) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარებულად იქნეს ცნობილი;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეული იქნა

ბატონი ზვიად გამსახურდია

დაბადებული 1939 წელს, ფილოლოგი, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი, საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერი, საქართველოს ჰელსინკის კავშირისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც წარდგენილი იყო საარჩევნო ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ მიერ.

რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბში

სტიქიური უბედურების, დიდი ავარიებისა და კატასტროფების შედეგების შესახებ მოსახლეობისათვის უტყუარი და ოპერატიული ინფორმაციის მიწოდების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო თავდაცვის შტაბთან შეიქმნა საინფორმაციო ცენტრი.

რესპუბლიკის ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ საინფორმაციო ცენტრს შემდეგი ტელეფონებით: 72-51-95, 72-21-64, 72-07-61 და 72-51-92.

საქინფორმი.



მურმან მიქაბერიძის ნახატი.

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა გაიმართება 1991 წლის 7 ივნისს 11 საათზე უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია იწარმოებს 7 ივნისს 9 საათსა და 30 წუთიდან.

საქინფორმი

ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა ახალი ორგანიზაცია — ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაცია. ასოციაციის მიზანია — იხელმძღვანელოს და ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ცხოვრებაში ადამიანის უფლებათა დაცვის უზენაესობის პრინციპის განხორციელებას, გაეროს მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო კონვენციის, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის, ჰელსინკის, ვენის, პარიზის და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა დასკვნითი დოკუმენტების შესაბამისად. ასოციაციის მოქმედებების არეა საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორია.

ყოველი წლის ბოლოს, ასოციაცია გამოუშვებს ბიულეტენს, რომელშიც დაფიქსირდება ადამიანის უფლებათა დარღვევის კონკრეტული ფაქტები, მოთხრობილი იქნება ასოციაციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ორგანიზაციას თავის მოვალეობად მიაჩნია ანგარიში ჩააბაროს საზოგადოებას, დახმარება აღმოუჩინოს საქართველოში მცხოვრებ ყოველ უფლებაშელახულ ადამიანს. ორგანიზაცია ერთიანი ძალისხმევით უკომპრომისო ბრ[illegible] გამოუცხადებს ყველა იმ სტრუქტურასა და ბიუროკრატიულ აპარატს, ხელს შეუწყობს მათს საბოლოო დემონტაჟს, რომლებიც თავიანთი არსით უკვე ადამიანის უფლებათა შემლახველი არიან.

ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის თავმჯდომარედ არჩეულია ექიმი ნიკოლოზ სამხარაძე.

ასოციაციის ადგილსამყოფელია (ცოტნე დადიანის ქ. № 32), ვაგონშემკეთებელი ქარხნის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული, ტელ. 66-89-40.

საქინფორმი

საერთაშორისო ცხოვრება

აშშ და საბჭოთა კავშირი უარყოფენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მიერ გავრცელებულ ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს ჯ. ბუში და მ. გორბაჩოვი უკვე შეთანხმდნენ უმაღლესი დონის შეხვედრის ჩატარებაზე ივნისის ბოლოს, კერძოდ 25-27 ივნისს, მოსკოვში. გერმანული გაზეთი „ბილდი“, ასევე ასოშიეიტედ პრესის სააგენტო, იუწყებიან, რომ ამერიკელებმა უკვე დაჯავშნეს 400 ნომერი მოსკოვის სასტუმროებში ივნისის ბოლოსთვის. თუმცა, როგორც თეთრი სახლის წარმომადგენელმა მ. ფიცუოტერმა განაცხადა, მართალია, მოლაპარაკებები ამ საკითხზე წარმატებით მიმდინარეობს, მაგრამ შეხვედრის ზუსტი თარიღი ჯერ საბოლოოდ დადგენილი არ არის.

უმაღლესი დონის შეხვედრის ჩატარება (რომელიც თავდაპირველად თებერვალში იყო დაგეგმილი), შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მოსკოვი და ვაშინგტონი შეთანხმდნენ ევროპაში ჩვეულებრივი იარაღის შემცირების თაობაზე, რომელსაც ხელი მოაწერეს გასულ წელს პარიზში და რომლის დარღვევასაც საბჭოთა მხარე სხვადასხვა მანევრების მეშვეობით ცდილობდა.

●

აშშ-ს ახალ ელჩად საბჭოთა კავშირში დანიშნულია რობერტ სტრაუსი — დემოკრატიული პარტიის ცნობილი მოღვაწე, 72 წლის ტეხასელი ადვოკატი და მილიონერი. ის ამ პოსტზე შეცვლის ჯეკ მეტლოკს, რომლის უფლებამოსილების ვადა უკვე ამოიწურა. პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა ამ მოულოდნელი არჩევანის გამოცხადებისას თქვა, რომ რობერტ სტრაუსს მიიჩნევს ყველაზე შესაფერის კანდიდატად ამ მნიშვნელოვან პოსტზე. განსაკუთრებით ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ამ კრიტიკულ პერიოდში. ჯ. კარტერის ადმინისტრაციის მმართველობის დროს რ. სტრაუსი იყო აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენელი და საგანგებო ელჩი ახლო აღმოსავლეთში, თუმცა, როგორც თეთრი სახლის თანამშრომლები ამბობენ, მის დანიშვნაში განმსაზღვრელი როლი ითამაშა დიდი ხნის მჭიდრო მეგობრობამ ჯ. ბუშთან და სახელმწიფო მდივან ჯ. ბეიკერთან, რომლებიც ასევე ტეხასიდან არიან.

თავის მხრივ, რ. სტრაუსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დარჩება დემოკრატიული პარტიის რიგებში და ეს ხელს არ შეუშლის მას შეასრულოს თავისი მოვალეობა რესპუბლიკელი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

●

ალბანეთის კომუნისტური მთავრობა, რომელიც სულ ერთი თვე იყო ხელისუფლების სათავეში, გადადგა, რათა გზა დაუთმოს მინისტრთა ახალი კაბინეტის ჩამოყალიბებას. როგორც პრემიერ-მინისტრმა ფ. ნანომ განაცხადა, მისი მთავრობა გადადგა იმიტომ, რომ არ სარგებლობდა ფართო პოლიტიკური მხარდაჭერით, ასევე იმ საყოველთაო გაფიცვის გამო, რომელიც უკვე 20 დღეა მიმდინარეობს. მთავრობა გადადგა ოპოზიციასთან შეთანხმების შემდეგ. ეს შეთანხმება ითვალისწინებს მინისტრთა ისეთი კაბინეტის შექმნას, რომელიც არ იქნება დაკავშირებული არც ერთ პარტიასთან, ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების ერთი წლის განმავლობაში. თავის მხრივ, საყოველთაო გაფიცვის მონაწილეები უნდა დაუბრუნდნენ სამუშაოს ახალი მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ, თუმცა ალბანეთის პროფკავშირებმა, რომლებიც ტრადიციულად მთავრობასთან არიან დაკავშირებულნი, უარყვეს ეს შეთანხმება და განაცხადეს, რომ განაგრძობენ გაფიცვას.

●

ალჟირის პრეზიდენტმა შადლი ბენჯედიდმა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და მიიღო მთავრობის გადადგომა. ალჟირის დედაქალაქში, სადაც არ წყდება შეტაკებები პოლიციასა და მუსლიმ ფუნდამენტალისტებს შორის, შეიყვანეს არმიის ქვედანაყოფები. ხალხისადმი მიმართვაში შ. ბენჯედიდმა განაცხადა, რომ 27 ივნისისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნები გადაიდება გაურკვეველი დროით ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. მან ასევე თქვა, რომ ჩამოაყალიბებს ახალ მთავრობას პოლიტიკური პარტიების ლიდერებთან კონსულტაციების შემდეგ. მუსლიმ ფუნდამენტალისტთა დაჯგუფება — ისლამური წინააღმდეგობის ფრონტი მოუწოდებს საყოველთაო გაფიცვისა და საპროტესტო აქციებისაკენ. ისინი მოითხოვენ პრეზიდენტის გადადგომას, ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და ახალი საარჩევნო კანონის შეცვლას, რომელიც მათი აზრით, უპირატესობას ანიჭებს მმართველ პარტიას.

ირინა თევდორაშვილი

საერთაშორისო ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური ხელისუფლება კარგა ხანია სეპარატიზმის გზას ადგას. იგი არ დაემორჩილა საბჭოთა რეფერენდუმის ბოიკოტის შესახებ საქართველოს უზენაესი საბჭოს დადგენილებას და 17 მარტს აფხაზეთში ჩაატარა საკავშირო პლებისციტი. ამავე დროს რეგიონში შეიქმნა ინტერფრონტი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენს მიმართ კონფრონტაციას. უნდა ითქვას, რომ მრავალი საკითხი, რომელიც აფხაზეთთან მიმართებაში ესოდენ პრობლემატურია დღეს, ასევე მტკივნეულად იდგა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინაშეც. საილუსტრაციოდ მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 1 აგვისტოს გამართულ 44-ე სხდომის სტენოგრაფიულ ანგარიშს, რომელიც აფხაზეთში იმხანად შექმნილ ვითარებას შეეხება. ვფიქრობთ, მკითხველი არაერთ პარალელს აღმოაჩენს 1919 წლის მდგომარეობასა და დღევანდელობას შორის.

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი და აფხაზეთი

თავმჯდომარე. გთხოვთ წაიკითხოთ შეკითხვის ტექსტი.

მდივანი (კითხულობს):

1. იცის თუ არა მთავრობამ, რომ სოხუმის ოლქში საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე ჯგუფის მეცადინეობით საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის საწინააღმდეგო განწყობილებაა, რომ ამ ჯგუფის მეთაურობით აფხაზეთის სახალხო საბჭოს მცირედი ნაწილი იმუშავებს კონსტიტუციის დებულებას საქართველოსაგან განშორების განზრახვით.

2. იცის თუ არა მთავრობამ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი ენა განდევნილია სოხუმის ოლქის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებიდან...

3. იცის თუ არა მთავრობამ, რომ აფხაზეთის საბჭო საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ფულს ურიგებს კერძო პირთ, პირადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

4. იცის თუ არა მთავრობამ, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილება, რომელიც ფაქტიურად გაუქმებულია, ყოველთვიურად ასი ათას მანეთად უზის საქართველოს ხაზინას. თუ ყოველივე ეს მთავრობას მოეხსენება, რა ზომები აქვს მიღებული.....

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის ბ. კედიას.

სპირიდონ კედია (ე. დ.): მოქალაქენო! აფხაზეთის საკითხი თქვენი ყურადღების საკითხად უნდა გავხადოთ დღევანდელ სხდომაზედ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა განაპირა მხარეებში, საზოგადოდ უაღრესად დაზიანებულია. თქვენ კარგად იცით, რომ მთავრობის ძალა და ენერგია, როგორც კაცთ, აგრეთვე ფულითაც ამ განაპირა კუთხეებში იხარჯება, აგერ მეორე წელიწადია, ძალიან ინტენსიურად. ჩვენი შინაური და საგარეო პოლიტიკის სირთულე უმეტესად ჩვენი განაპირა კუთხეების მოუწესრიგებლობით არის შექმნილი. რა თქმა უნდა, ამ გარემოებაში ჩვენ ყველას მიგვიძღვის ბრალი. ჩვენ თავდანვე წესიერად ვერ დავაფასეთ ის ფაქტი, რომ ეს განაპირა კუთხეები ჩვენი ეროვნულ სახელმწიფოებრივი იდეისთვის ყველაზედ სახიფათო ელემენტს წარმოადგენდენ... ამ კუთხეების თავისებურობა უნდა ყოფილიყო ყოველი ჩვენი ნაბიჯის და მოქმედების ჩამგონებელი. ჩვენ კი ამდენი დაკვირვება და საგნის გათვალისწინება ვერ შევძელით. მაზეზი ამისა მრავალია. დღეს ამ განაპირა კუთხეთა შორის ყველაზე უფრო სახიფათო აფხაზეთია. სახიფათოა იმიტომ, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობას და დამოუკიდებლობას ამ გზით ემუქრება ჩრდილოეთის მტერი — რუსეთი! დენიკინი აფხაზეთით აპირებს საქართველოში შემოჭრას. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთში დღეს აქტიური ფრონტი გვაქვს. რომ აქ ჩვენს წინააღმდეგ დარაზმულია მტრის დიდი ძალა და რომ ჩვენი სამხედრო ძალის კარგა დიდი ნაწილიც სწორედ აქ შევყარეთ მტრის პირისპირ. დიახ, დღეს იქ აქტიური და მომქმედი ფრონტია. ფრონტის უკან კი გადაშლილია ის აფხაზეთი, სადაც დღეს ჩვენი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე და ინტერესები განსაცდელშია ჩავარდნილი. მოსალოდნელი სამხედრო მოქმედების მოსაგებად და, საერთოდ, ჩვენი შინაური სიმტკიცისათვის საჭიროა, რომ აფხაზეთში მსწრაფლ შეიცვალოს წესი და მეთოდი მუშაობისა და აგრეთვე გადაყენებულ იქნან ის პირნი, რომელთაც ვერ გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ნიჭი და უნარი.

ამ პირთა მეოხებით ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატი აფხაზეთში ვერ იცავს ჩვენს ინტერესებს, არამედ უფრო ჩვენდა საზიანოდ არის გამოყენებული უფრო მოხერხებული მტრების მიერ... აფხაზეთში ჩვენი მდგომარეობა ძალიან ცუდია, ...აფხაზის ხალხი ქართველების წინააღმდეგაა განწყობილი და, ღმერთი რომ გასწყრეს და ფრონტზე, რომ მდგომარეობა გაგვართულდეს, შეიძლება აფხაზეთში კატასტროფა ვპოვოთ. ასეთი დასკვნა და შთაბეჭდილება გამოაქვს ყველას, ვინც კი აფხაზეთში ყოფილა და ცოტა ხანს მაინც იქ დაუყვია. თქვენ კარგად იცით, რომ აფხაზის ხალხი ჩვენთან ისტორიულ მეგობრობით და საერთო კულტურულ პოლიტიკურ ცხოვრებით არის დაკავშირებული. თქვენ კარგად იცით, რომ თუ აფხაზის ხალხს ვისმე მიმართ სიმპატია ჰქონია, ეს სწორედ ქართველებისადმი; როდესაც ჩვენს ქვეყანაში საერთო რუსეთის ბატონობა იყო, აფხაზეთი ყოველთვის სიმპატიით ყოფილა განწყობილი ქართველებისადმი და არასოდეს ქართველებსა და აფხაზებს შორის არავითარ ანტაგონიზმს ადგილი არ ჰქონია: რუსეთის მიმართ ქართველებსა და აფხაზებს მუდამ საერთო ფრონტი და პლატფორმა დაუჭერია. ეს ძველი მდგომარეობა დღეს შეიცვალა და თითქმის მთელი აფხაზობა ჩვენდამი უკმაყოფილებით არის აღვსილი და ვფიქრობთ, შესაფერი დრო რომ დადგეს, აფხაზთა ამგვარ განწყობილებას ჩვენს წინააღმდეგ ადვილად გამოიყენებენ ჩვენი მოსისხლე მტრები, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან აფხაზეთში სხვა და სხვა ეროვნების წრიდან და მაშინ ჩვენ კატასტროფა არ აგვცდება. რა თქმა უნდა, არის აფხაზთა შორის ისეთი ნაწილიც, რომელიც ჩვენი მომხრეა. რომ აფხაზის ხალხს უფრო დავახლოებოდით და ინტიმურად დავლაპარაკებოდით, დავრწმუნდებოდით, რომ მას ჩვენი მეგობრობა სწყურია, ჩვენი ძმობა! მაგრამ ვიმეორებ, დღეს აფხაზთა შორის საერთო უკმაყოფილებაა და საქართველოს მიმართ საწინააღმდეგო განწყობილებაა. აი, ამ გარემოებას უნდა გაეწიოს ანგარიში და შეეცადოთ გარდავქმნათ ეს ვითარება, რომ აფხაზობამ ჩვენდამი მართლაც და ლოიალური მეგობრობა დაიჭიროს და ჩვენთან ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ ყველა საჭირო მსხვერპლი გასწიოს. აფხაზეთში, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდნენ რუსის აგენტები. განსაკუთრებით რუსის სამღვდლო წოდებისაგან და მასწავლებელთა წრიდან გამოდიოდნენ გაბედული მტრები ქართველებისა და ქართული იდეისა. ეს ყველამ კარგად იცით: ყველა ეს პირები დღესაც აფხაზეთში არიან და განაგრძობენ თავიანთ აშკარა ანტიქართულ მოღვაწეობას. ამ პირებმა თავიანთი პოლიტიკური სახე სხვა და სხვა ნაირად შეისწორეს: ვინ ბოლშევიკია და ბოლშევიკურის იდეით და მეთოდით გვებრძვის, ვინ კიდევ დენიკინელია და დენიკინის იდეით და სისტემით გვებრძვის, ვინ ადგილობრივ მკვიდრთა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიაშია და ისე ოსტატურად ებრძვის საქართველოსა და მის დამოუკიდებლობას. ყველა ეს ანტიქართული აქტიური ელემენტი ერთ პოლიტიკას ადგია და ერთ მიზანს ემსახურება: საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას. ხშირად იმართება ბოლშევიკური მიტინგები სოხუმსა და სხვა აფხაზეთის დაბებში, სადაც აგიტატორები საქართველოს წინააღმდეგ იღაშქრებენ, გამოაქვთ კიდევაც შესაფერი რეზოლუციები. ხალხში ეს აზრები თავისუფლად ვრცელდება. ამგვარი მიტინგების პოლიტიკური აგიტაციის წინააღმდეგ აქამდის მაინც, არავითარი რეპრესიული ზომები არ ყოფილა მიღებული. ისე, რომ ჩვენი დამამხობელი და გამანადგურებელი ხალხი სრულ თავისუფლებით სარგებლობს ამ მხარეში, მათ მოქმედებას არავითარი დაბრკოლება წინ ეღობება და ეს ხალხიც არხეინად განაგრძობს თავის მუშაობას, როგორც ხალხში და ქუჩაში, ისე სხვა და სხვა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებაში. ასეთი მტრული მოქმედებაა დღეს გაჩაღებული საქართველოს წინააღმდეგ თვით აფხაზეთის სახალხო საბჭოშიც.

ეს აფხაზეთის სახალხო საბჭო, შესდგება 40 წევრისაგან. იგი არჩეულია ახირებულ წესით და სისტემით, რომლის ძალით საარჩევნო უფლება მინიჭებული ჰქონდა იმათაც კი, ვინც საქართველოს ქვეშევრდომი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ამის წინააღმდეგ გაილაშქრა თავის მიწერილობაში და მოითხოვა ამ ახირებული საარჩევნო დებულების შეცვლა, აფხაზეთის საბჭოს არჩევნები მაინც ამ დებულების მიხედვით მოხდა: მე სრულიად ზედმეტად მიმაჩია იმის თქმა, რომ არსად დედამიწის ზურგზე ისეთი საარჩევნო სისტემა და წესი არ ყოფილა მიღებული, რომ არაქვეშევრდომსაც, რომელსაც არავითარი ორგანიული და სახელმწიფოებრივი ინტერესი არა აქვს ქვეყანასთან, მონაწილეობა მიეღოს არჩევნებში, მართალია, ჩვენ არ გვეშინიან არ გაგონილი და არ ნახული, ლოგიკის და სასიცოცხლო ინტერესის საწინააღმდეგოდ მეტად ახირებული ექსპერიმენტებისა, მაგრამ ფორმალურ მხარეს, რომ თავი დავანებოთ და, საგანს, რომ რეალურ ინტერესის თვალით შევხედოთ, გარწმუნებთ, რომ ჩვენთვის ეს საარჩევნო წესი მეტად მავნებელი და საზარალოა. იგი ჩვენთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს აფხაზეთში ამის წინააღმდეგ ფაქტიურად არავითარი ორგანიზაციება არ მიუღია, რომ ეს ინერტობა არა ამგვარი არჩევნები გაბათილებული იქნებოდა და ქვეყანა მოიგებდა...

აფხაზეთის სახალხო საბჭო იმუშავებს ისეთ კონსტიტუციას, რომელიც აფხაზეთის სრულ სუვერენობას ეოითხოვს და საქართველოსთან მეტის მეტ სუსტ დამოკიდებულებას იტოვებს. ეს კონსტიტუცია აფხაზეთს ანიჭებს ყოველგვარ უპირატესობას ჩვენს ხარჯზე. ხოლო საქართველოს, თითქმის არავითარ უფლებას ამ მხარეში არ უტოვებს. ეს კონსტიტუცია, ადრე თუ გვიან, ჩვენ წარმოგვიდგება და ჩვენს შეხედულებასაც ამ საგანზე მაშინ გამოვსთქვამთ.....

აფხაზეთის საბჭო თავის თავს სუვერენულ ორგანოდ სთვლის. იგი აბრკოლებს და წინ ეღობება ჩვენ გავლენას და სახელმწიფოებრივ მოქმედებას აფხაზეთში. იგივე საბჭო ილაშქრებს ქართული ენის წინააღმდეგ... აფხაზეთის საბჭოში დაისვა საკითხი, თუ რა ენაზე უნდა ყოფილიყო დაწერილი ატესტატი სემინარიაში კურს დამთავრებულ მოწაფეებისა. ორი სხვა და სხვა აზრი იყო. ზოგი მარტო რუსული ტექსტის მომხრე იყო, ზოგიც რუსულ ქართულისა. თვით ატესტატის პროექტი წარმოდგენილი იყო ქართულ რუსულად. კენჭის ყრის წინ ჩვენმა მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მისთვის ენის საკითხს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. და თუ ქართული არ უნდათ, მარტო რუსულად დარჩესო. და საქართველოს წარმომადგენელი და მმართველი სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ქართული ენის წინააღმდეგ ხმას აძლევენ! — ასე იცავენ ჩვენ სახელმწიფო ინტერესს აფხაზეთის საბჭოში, ჩვენი უვიცნი წარმომადგენელი და სოც. დემ. ფრაქცია!

ამნაირად, თქვენ დაინახეთ, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოში ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესი დაცული ალარ არის...

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ აფხაზეთში მთელი მართვა-გამგეობა ჩვენს ხარჯზე ხდება. აფხაზეთის სახალხო საბჭო, აფხაზეთის მთავრობა და ადმინისტრაცია ჩვენი ხაზინით ინახება ,რომ საქართველომ ერთი თვით შესწყვიტოს ფულის გზავნა მთელი აპარატი დადგება და ანარქია მოიცავს აფხაზეთს; — უნდა ვიცოდეთ რაზე და როგორ იხარჯება ეს ფული, საჭიროა კონტროლი... ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება. დამფუძნებელი კრების ყურადღება მიაქციოთ ამ გარემოებას, რომ აფხაზეთში ჩვენი ფული შინაურ წესით იხარჯება, ვიცით შემთხვევები, როდესაც იქაური საბჭოს ბუჰგალტერი სთხოვს სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს, ფული მჭირდება ამა და ამ შემთხვევისთვის და მასესხეო; საბჭოს თავმჯდომარე მას 15 ათას მანეთს აძლევს. ჩვენ გვაქვს აგრეთვე ცნობა, რომ იმავე საბჭოს თავმჯდომარეს კერძო მემამულისთვის თამბაქოს სასყიდლად გაუცია თანხა 50 ათასი მანეთი, ვიცით აგრეთვე, რომ სხვადასხვა წევრზე და მოსამსახურეზე ასეთის შინაურ წესით სესხად გაცემულია 60.000 მანეთი. ამას კომენტარები არ უნდა. თქვენ ხედავთ, რომ ის ფული, რომელიც აქედან აფხაზეთში იგზავნება, არ ხმარდება თავის დანიშნულებას, არამედ იხარჯება შინაურ წესით კერძო პირებზე გასესხებით, რაც ყოვლად მიუღებელია და შეუწყნარებელია. შეკითხვაში უკანასკნელ მუხლად აღნიშნული მაქვს სოხუმში არსებული სახელმწიფოს ბანკის განყოფილების ვითარება. კარგად იცით, ყველგან საქართველოს ტერიტორიაზე ყველგან, გაუქმებულია რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილებათა მოქმედება. გაუქმებულია სოხუმშიც. მაგრამ დღემდე ამ განყოფილებაზე ყოველთვიურად იხარჯება 100 000 მანეთი. ამ ბანკში მსახურობს 33 კაცამდე. თითქმის სულ რუსობა, ერთი ორის გამოკლებით. ყველა ესენი საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებენ პოლიტიკურად. ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენ საწინააღმდეგოდ რეზოლუციები გამოუტანიათ, კერძოდ როდესაც დამოუკიდებლობის ერთი წლის თავს ვდღესასწაულობდით, მათ აქტიური პროტესტი განაცხადეს ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ყველა ესენი აქტიურ მუშაობას აწარმოებენ ჩვენდა დასამხობად. და ამ ჩვენს შეურიგებელ მტერს ჩვენის ჯიბით ვინახავთ, ჩვენი ფულით ვასაზრდოებთ... უნდა ბოლო მოეღოს ამ უკუღმართობას! ასეთია მდგომარეობა აფხაზეთის კანონმდებლობა-დაწესებულებაში, ასეა ფულის საქმე, ასე წამხდარია საზოგადოდ, ქართული იდეისა და გავლენის საქმეც. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში დიდძალი შეიარაღებული ძალა გვიდგას, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საბჭოში უმრავლესობა ჩვენია. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი ინახება ჩვენის ხაზინით, მიუხედავად ყოველი ამისა, აფაზეთში ჩვენი გავლენა ძალიან დაცემულია... თუ ადრე, ჩვენს დამოუკიდებლობამდე, აფხაზი ხალხი და საზოგადოება დიდის აღტაცებით და სიამოვნებით ეგებებოდა ყოველ ქართველ მოღვაწეს, რომელიც აფხაზეთში ინიშნებოდა და მოღვაწეობდა, დღეს ყოველი ახალი ქართველი კაცის გამოჩენა ერთგვარ პროტესტს იწვევს; არის მაგალითი, რომ სახალხო საბჭო ცხარე პროტესტით შეხვდა ერთ ერთ ქართველ მოხელეს, რომელმაც მას ადგილი შესთხოვა. ქართული ენის ასპარეზი ამ ბოლო დროს, მიუხედავად ჩვენი სახელმწიფოებრივი უპირატესობისა, შემცირდა და დაეცა. ქართული ენა სოხუმის ქალაქის თვითმმართველობიდან სრულიად განდევნილია, საქმე სწარმოებს რუსულად. სკოლებშიაც ქართული ენა თუ არსებობს, მხოლოდ იმდენად და ისე, როგორც რუსეთის აქ ბატონობის დროს იყო, არც მეტი არც ნაკლები, ასე რომ ომს, რევოლუციას, დამოუკიდებლობას და აფხაზეთში ჩვენი სახელმწიფოებრიობის დროშას ჩვენთვის არც მორალური და არც კულტურული შემატება არ მოუტანია! დაუჯერებელია, მაგრამ ეს ასეა!

...საერთოდ, აფხაზეთში ნიადაგი მერყეევია. დიდი ანტიქართული მოძრაობაა, რომელსაც ხელმძღვანელობენ და აღრმავებენ რუს-სოხუმის ბოლშევიკ დენიკინელები და აფხაზთა ინტელიგენციის ერთი ნაწილი. ეს ფაქტია, ამას მტკიცება არ სჭირდება. მდგომარეობის მეტად სერიოზული ხასიათი თვით მთავრობამ ცნო... მე მგონია დამფუძნებელი კრება დაინტერესებულია, რომ ამ საკითხს უდიდესი ყურადღება მიექცეს, რათა ჯარის ზურგი საიმედო იყოს და ადგილობრივ ელემენტი მკვიდრი აფხაზობა, რომელიც მუდამ ყოფილა ჩვენი ისტორიული მეგობარი, მართლაც ლოიალურად დავიახლოვოთ, ჩვენთან ერთად ძველებურად ვამუშაოთ. მე აქ არ მინდა ჩუმად ჩავატარო ის ფაქტი, რომ აფხაზთა შორის არიან ისეთნი პირნი, რომელნიც აშკარად და აქტიურად ჩვენ წინააღმდეგ დენიკინის ბანაკში მოქმედებენ. არის მცირედი ნაწილი, რომელიც აქტიურად ჩვენთან არის. ხოლო აფხაზის ხალხის სიმრავლე პასიურ უკმაყოფილებაშია. თუმცა მას ბუნებრივად ჩვენთან ლოიალური დამეგობრება და შეერთება სწადია. ჩვენ უნდა გავფანტოთ ეს უნდობლობის ატმოსფერო. გავფანტოთ უკმაყოფილების პსიქოლოგია. საჭიროა იმ მხარეში, რომელიც განსხვავებული პსიქოლოგიით სცხოვრობს, რომელსაც განსაკუთრებული თვისებები ახასიათებს, საჭიროა მეთქი, ასეთ მხარეში მეტი ტაქტი და ნიუანსები; ჩვენმა მთავრობამ ასეთ მხარეში უნდა იყოლიოს წარმომადგენლად, უფრო მტკიცე, უფრო დაკვირვებული, უფრო რეალურ ცხოვრებას შეწყობილი კაცი, ვიდრე ის, რომელიც დღეს იქ არის...

მე ვფიქრობ, მთავრობას, რომ სცოდნოდა ის მდგომარეობა, რომელიც აფხაზეთშია შექმნილი, ვიდრე ჩვენ საკითხს ტრიბუნაზე გამოვიტანდით, თითონ მიიღებდა ზომებს და ისეთ ადამიანს გააგზავნიდა იქ, რომელსაც მეტი სახელმწიფოებრივი ხასიათი ექნებოდა და რომელიც მეტ სახელმწიფოებრივ დაკვირვებას გამოიჩენდა, და მეტს ანგარიშს გაუწევდა რეალურ პოლიტიკის მოთხოვნილებას, აქამდის ეს არ მომხდარა; მთავრობას ასეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს. მე ძალულებული ვარ ვიფიქრო, რომ მთავრობა არ ყოფილა an connant იმისა, რაც აფხაზეთში ხდება. და თუ ეს ასეა, მე უნდა გამოვსთქვა დიდი მწუხარება, რომ მთავრობა, რომელსაც ევალება ფხიზელი თვალი ეჭიროს საქართველოს ყოველი კუთხის ცხოვრებაზე და დროზე ემსახურებოდეს სახელმწიფოს ინტერესების დაცვის საქმეს, დღემდე უცოდინარი დარჩენილა აფხაზეთის ამბების, და არავითარი წინასწარი ზომები არ მიუღია ჩვენი სახელმწიფო ინტერესის დასაცავად. მე არ მინდა, მოგახსენებთ გულწრფელად, ამ მდგომარეობის ექსპლოატაცია, არ მინდა არავითარი კამათი პარტიული ზნისა, არ მინდა, ან თქვენ დაგაბრალოთ ყველაფერი, ან თქვენ ჩვენ დაგვდოთ ბრალი და საქმე კი იმავე ყოფაში დარჩეს რა ყოფაშიც არის. და ეს ჩვენი საერთო საქმე, რომელიც დღეს აფხაზეთში განსაცდელშია შეერთებულის ძალღონით, ერთმანეთის ლოიალური გაგებით, ჩვენდა სასარგებლოდ გამოვაკეთოთ.

პუბლიკაცია მოამზადა ოთარ ჯანელიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლეს თვალი უნდა

გაკვეთილი

ჩვენ არასოდეს გვქონია სურვილი, რომ პრესის საშუალებით ვინმესათვის პასუხი მოგვეთხოვა, ან „ჭკუა გვესწავლებინა“ და არც ახლა ვცდილობთ ამას. ვინაიდან საქმე ეხება ფაქტების გაყალბებას, წარმოთქმული სიტყვის გაუკუღმართებულად აღქმას, რომელიც იწვევს ეროვნული კონსოლიდაციის დესტრუქციას, ამიტომ, როგორც იტყვიან ჩვენი მოთმინების ფიალაც აივსო და გადავწყვიტეთ დაგვეწერა ეს წერილი.

ა. წ. 27 აპრილს გაზეთ „ცხოვრებაში“ გამოქვეყნებული იყო რედაქციაში შემოსული წერილები, საერთო სათაურით: „საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს, ამაზე ორი აზრი არ არსებობს“.

წერილის ერთ-ერთი აბზაცი ასე იწყება: „არიან ისეთი **„რაინდებიც“**, რომლებიც უფრო შორს მიდიან. მათ კომუნისტების დამცირება და დაჩოქება არ აკმაყოფილებთ. ისინი კომუნისტური პარტიის გასამართლებას მოითხოვენ, ეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ტრიბუნიდანაც კი ითქვა დეპუტატ ამირან კალაძის მიერ“.

ამის გამო გაზეთ „ცხოვრებაში“ შემოსულა ბევრი წერილი, მაგრამ იგი მხოლოდ ორს მიმოიხილავს.

თბილისიდან ვ. მჭედლიშვილი იწერება:

„ვინა ხართ თქვენ, ბატონო ამირან კალაძე? საიდან მოხვედით ან საით მიდიხართ? თქვენი განცხადება ვვაკვირვებს. თუ დემოკრატიულობას ქადაგებთ, სხვა პარტიების, მათ შორის კომპარტიის მომხრეც უნდა იყოთ“. წერილში აღნიშნულია, რომ გასასამართლებელი კომუნისტური პარტია კი არ არის, არამედ გადაგვარებულ-გაბიუროკრატებული პარტიული ფუნქციონერები, რომლებმაც ჩირქი მოსცხეს კომუნისტის წმინდა სახელს“.

როგორია, მკითხველო, **„კომუნისტის წმინდა სახელი?“** რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი გიორგი გოჩიტაშვილი უფრო შორს მიდის, მას მოჰყავს უზენაეს საბჭოს სესიაზე ამირან კალაძის მიერ წარმოთქმული სიტყვები — „დღეს კომპარტიის მანდატი არის თავისებური პაროლი კრემლთან ალიანსისა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა“ — და თვითონ ასკვნის: „ეს მე ვფიქრობ ჰალუცინაციების შედეგი უფროა, ვიდრე სინანულის შემეცნებისა. ჩანს, მას კომპარტიის მიმართ პირადი ღვარძლი ალაპარაკებს და არა ეროვნული ინტერესი“.

მკითხველს ბოდიშს ვუხდით, რომ, თუმცა ბევრი კითხვა-კომენტარი დაგვიგროვდა, ყველა კითხვას პასუხს თანმიმდევრულად გავცემთ და ამასთან ერთად ჩვენც შეგვიძლია დავსვათ შემდეგი კითხვები: რატომ დაიმცირეთ თავი? ან რატომ დაიჩოქეთ? ამაზე ამირან კალაძეზე მკაცრად სცემს პასუხს ბატონი დავით მელუხი:

„კომპარტიას საუკუნო უმძიმეს ტვირთად აწევს წარსულის სისხლიანი ბოროტმოქმედებები, მთელი ხალხის გენოციდი, რასაც შეცდომის აღიარება ვერ უშველის“. (გაზეთი „თბილისი“ 1 მაისი 1991 წელი). მკითხველს ვთხოვთ ბოლო ფრაზას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

საქართველოში კომუნისტური პარტია რომ მოსკოვის იმპერიას ემსახურებოდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მას ხომ დამოუკიდებელი პროგრამა და წესდებაც არ ჰქონდა. ესეც ცნობილია, თუმცა ამის დასტურად უმჯობესია მოვიყვანოთ სტრიქონები ინტერვიუდან, რომელიც სპეციალურმა კორესპონდენტმა ჩამოართვა საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ბატონ ჯემალ მიქელაძეს. ბატონი ჯემალი ბრძანებს: „ჩვენი აზრით, საქართველოს კომპარტიის დამოუკიდებლობა, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ პირველი: მას აქვს საპროგრამო და საწესდებო დოკუმენტები, რომელიც პირველად შეიმუშავა თავისი თემქმის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე; მეორე, ამყამად საქართველოს კომპარტიას საქართველოშივე აქვს თავისი ცენტრი და გარეედან თუ ზემოდან ვისიმე კარნახისა და ხელგავლენის გარეშე წყვეტს თავისი სტრატეგიული და ტაქტიკური კურსის შემუშავებასა და მის ორგანიზაციულ-სტრუქტურულ წყობასთან დაკავშირებულ საკითხებს“... და სხვა (გაზეთი „ცხოვრება“, 17 აპრილი, 1991 წ.).

გესმით, ბატონო ვ. მჭედლიშვილო (ბოდიშს გიხდით, რომ სახელით ვერ მოგმართავთ), თქვენ კი კომუნისტის სიწმინდეზე საუბრობთ, მაშინ, როცა იმპერიის მსახურები იყავით თქვენც და მათ შორის ამ სტატიის ზოგიერთი ავტორიც, ყოფილი კომუნისტები. გაიხსენეთ ცნობილი ქართველი მწერლის, კრიტიკოს თ. წივწივაძის სტატია: „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ხართ“. მოგვიტევოს ბატონმა დ. მელუხამ და კვლავაც მოგვიწევს მისი შეწუხება: „ყოველივეს აგვირგვინებს ევროპის კომპარტიის კრახი, ზოგის დაშლა ან სახელწოდების შეცვლა. ასე მოხდა თვით ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც კი, სადაც სულ რამდენიმე დღეში — ზოგან მშვიდობიანი გზით, ზოგან ახალი მსხვერპლიანი შეტაკების შედეგად ხალხმა დაამხო კომუნისტური დიქტატურა და დასავლეთისაკენ იბრუნა პირი“ (გაზეთი „თბილისი“, 1 მაისი, 1991 წელი).

ბატონი ვ. მჭედლიშვილის კითხვა: „ვინა ხართ თქვენ, ბატონო ამირან კალაძე?“ გვაგონებს სეჰაბუკეში ნანახ ფილმს, „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?“ ამ კითხვით მიმართავენ საბჭოთა იმპერიის მზვერავს.

იქნებ ამ მიზნით ამირან კალაძის სამწერლო მოღვაწეობაზე გადაგვეკითხოთ თვალი.

ჩვენი და ყველასათვის საყვარელი პოეტი მუხრან მაჭავარიანი ა. კალაძეს ახასიათებს შემდეგნაირად: „ამირან კალაძე — ჩემი უმცროსი მეგობარი, — ზედმიწევნით ალალმართალი კაცია.

იგი რომ შესანიშნავი პუბლიცისტია, ეს წიგნია ამის დასტური.

ღმერთი იყოს მისი შემწე იმ გზაზე, რომელიც საქართველოს თავისუფლებისაკენ მიდის“.

(ა. კალაძე „ის მაინც ბრუნავს“. გამომცემლობა „მერანი“, 1991 წელი).

მგონი საკმარისია — ვინ არის ამირან კალაძე.

საიდან მოდის? ზემოთაღნიშნულ წიგნში ყველაფერი კარგად ჩანს (ვისაც დანახვა უნდა!).

ამ კითხვაზე პასუხის პოვნა ვ. მჭედლიშვილს არ გაუჭირდებოდა, ვთქვათ, რომ წაეკითხა მისი თუნდაც ერთი პუბლიცისტური ნაწარმოები — „მეც იქ მიგულეთ, ანუ პასუხი მიტინგებზე გამოგზავნილ შეკითხვებზე“, სადაც ბატონი ამირან კალაძე სხვათა შორის ამბობს: „მოსეირენი ხშირად ნიშნის მოგებით კითხულობენ: მაშინ სად იყავით, მაშინ?! იძულებული ვართ მათ გასაგონად პირადულსაც შევეხო, სად ვიყავით, ბატონებო, და მე პირადად ჯერ კიდევ 1965 წელს (ე. ი. 25 წლის წინ!) განვაცხადე უარი საოკუპაციო ჯარში სამსახურზე, რის გამოც კვალიფიციურ ფსიქიატრებს შეამოწმებინეს ჩემი თავი“. (ა. კალაძე „ის მაინც ბრუნავს“ გვ. 279).

საით მიდის? — კითხვაზე თვითონ პასუხობს პუბლიცისტურ ნაწარმოებში, „ტანჯვის უფლება ყველას აქვს“. იგი წერს:

„ვინც სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძვის, იგი პირად კეთილდღეობაზე არ უნდა ზრუნავდეს. შენ და შენი სამშობლო ერთნაირად უნდა ცხოვრობდეთ! ბოლო ვისაც სამშობლოზე უკეთესად უნდა ცხოვრება, ბუნებრივია, მას არაფრის შეცვლა არ სურს, საბჭოური სინამდვილე მის წისქვილზე ასხამს ოქროს წყალს...“

„მონობაში გაძღომა ან თავისუფლებაში შიმშილი! ჭკუათმყოფელი ადამიანისათვის პირველს უბედურება ჰქვია, მეორეს — ბედნიერება!...“

„ჩემი მიზანია პარლამენტური და სხვა მშვიდობიანი გზებით ვიბრძოლო დაქსაქსული ეროვნული ძალების კონსოლიდაციისათვის. ერთი წმინდა მიზნისა და ერთი სათაყვანებელი დროშის ქვეშ დავაყენოთ ყოველი ქართველი, მათ შორის ძეშეცდომილნიც, რომლებიც, არც თუ უწყინარი მერკანტილური მიზნებით ან სხვა რამ მოსაზრებით, შევიდნენ ამა თუ იმ კორუფციულ დაჯგუფებებში, კომუნისტური პარტიის რიგებში და სხვა. ყოველ შემთხვევაში ყველა შვილს უნდა მიეცეს შანსი მშობელ დედას მიეახლოს განძღენილი!“

არის, ბატონო გიორგი გოჩიტაშვილო, ჰალუცინაციების შედეგი?

ან მას რა პირადი ღვარძლი უნდა ჰქონდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან, რომლის წევრი თქვენ ბრძანდებით. საიდან ასკვნით, რა უფლებით? ბატონი ამირანი ხომ არასოდეს არ ყოფილა კომპარტიის წევრი, არ უსარგებლია მისი „სიკეთით“.

მისი ერთი ლექსი მაინც წაგეკითხათ, ვთქვათ შემდეგი:

„ისე გაწვრილდა ბილიკი,
კაცი, კაცს ვერ შეუვლი,
თავზე დამადგეს თარაზო,
ტანზე დამკიდეს შეუული!

(ა. კალაძე. „მოზაიკა“, გამომცემლობა „მერანი“, 1984 წ.).

ამ ლექსში მკაფიოდ ჩანს ა. კალაძის დამოკიდებულება საბჭოთა იმპერიასთან. ასევე ამ ათი-თხუთმეტი წლის წინა დაწერილი:

„მოგვეძალა მტერი უხმლოდ,
ვეფხი ფასობს კატის კნუტად
დროა დავძრათ ძმანო ჯრინტი,
და არა თუ კანტი-კუნტად...“
„ძმობა თქვიო ჩაგვაბიან
სიმართლეს თქმა აუგია,
შუა ქართლში თათრის ბინა
ქართველს ქირით აუღია“.

სხვათა შორის, ეს სტრიქონები იმ ლექსიდანაა ამოღებული, რომელიც იმთავითვე ბატონ ზვიად გამსახურდიას მიუძღვნა ავტორმა, თანაც იმ დროს, როცა დღევანდელ პრეზიდენტს მხდალნი და ორპირნი სუკის შიშით მისალმებასაც ვერ უბედავდნენ.

არის ქართული ანდაზა — „მულო, შენ გეუბნები და რძალო შენ გაიგონეო“, როდესაც თქვენ ამირან კალაძეს უკიჟინებთ, ამით გინდათ მიანიშნოთ, ოითქოს მრგვალი მაგიდა მიზანმიმართულად იბრძვის ყველა კომუნისტის ფიზიკური განადგურებისათვის. ამით თქვენ გინდათ დღევანდელ ხელისუფლებას აუმხედროთ კომპარტიის წევრები. ის კი გავიწყდებათ, რომ სწორედ უზენაეს საბჭოს და პირადად ზვიად გამსახურდიას ინიციატივით მრავალ კომუნისტს გამოეცხადა ნდობა სხვადასხვა პასუხსაგებ პოსტზე, დაწყებული კომისიის თავმჯდომარეობიდან, დაწესებულებათა დირექტორებით დამთავრებული.

სად იყავით ადრე, ბატონებო ვ. მჭედლიშვილო და გიორგი გოჩიტაშვილო, როდესაც ა. კალაძემ 1989 წლის სახალხო ფრონტის გამგეობის სხდომაზე იგივე განაცხადა, რაც უზენაესი საბჭოს სესიაზე, რომელიც დაიბეჭდა კიდეც. ბატონი ამირანი სიტყვა-სიტყვით შემდეგს ბრძანებდა: „თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე კომუნისტურმა პარტიამ სრული განუკითხაობის, დიქტატორული ერთმპართველობის, კოსმეტიკური ცვლილებებისა და უკიდეგანო თვითნებობის პირობებში არა თუ ვერ შეასრულა თავისი ფალსიფიცირებული დაპირებანი უძლეველი, ბედნიერი, დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის შესახებ, არამედ ერთ დროს ძლიერი სახელმწიფოები და ხალხები სრული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეროვნული და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დააყენა და სისტემატურად, საშუალოდ ყოველ 15 წელიწადში ერთხელ ფარისევლურ ბოდიშს უხდის ყალბი ლოზუნგებით გონდაბინდულ თავის მრევლს „უნებლიედ“ დაშვებული გაუთავებელი შეცდომების, გადახრების, კულტის, რევიზიონიზმის, ვოლუნტარიზმის, უძრაობის, ცრუმორწმუნეობის რეპრესიების, სიიაპაკისა და უუფლებობის გამო! ამიტომ დადგა დრო, მოეწყოს კომუნისტური პარტიის სახალხო სასამართლო, **სადაც ბრალმდებელი იქნება უკლებლივ** ყველა მოქალაქე, მათ შორის სხვადასხვა მიზეზებით ცდუნებული პარტიელები! სასჯელის უმაღლეს ზომად უნდა განისაზღვროს ერთმპართველი კომპარტიის დაშლა, უმდაბლეს ზომად — ოპოზიციური პარტიების შექმნა“ („ღია წერილი საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობას“. — 1989 წელი).

აი, ბატონებო, თქვენც და ჩვენც — ყოფილი ცდუნებული პარტიელები სწორედ ბრალმდებლის როლში გამოვყავართ ბატონ ამირანს. რამ შეგაშფოთადე? ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“.

თქვე დალოცვილებო! თუ საქართველოს ახალ დამოუკიდებელ კომპარტიას ქმნით, ჩვენთვის გაუგებარია, რატომ იცავთ საბჭოთა კავშირის კომპარტიას? რატომ არ ყრით მის ბილეთებს? ან რისი გეშინიათ?

ამირან კალაძე ჭეშმარიტი დემოკრატია. ის შეცდომის აღიარების უფლებას ყველას აძლევს, მათ შორის კომპარტიის წევრებსაც და მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ანუ კომუნისტური რეჟიმის გასამართლებას და არა პარტიულებისას!

ზემოთ ვახსენეთ, რომ ამ წერილის ზოგი ავტორი კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრია. რატომ? იმიტომ, რომ დაგვაბრმავეს: ჯერ ოქტომბრელებად, შემდეგ პიონერებად, კომკავშირელებად და ბოლოს პარტიულებად გვაქციეს. ეროვნულმა მოძრაობამ, რომელსაც მეთაურობდა და მეთაურობს ბატონი ზვიად გამსახურდია, ჩვენ და მრავალ სხვასაც თვალი აგვიხილა. აწი კი შეუძლებელია ჩვენი ცდუნება და დაბრმავება!

ჩვენ, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, კომპარტიის რიგები ზარზეიმით კი არ მიგვიტოვებია, არამედ თვალებახელილი სირცხვილისაგან ვიწვოდით. უჩუმრად დავტოვეთ პარტიის რიგები. ამიტომ, ძვირფასო ბატონებო! ვ. მჭედლიშვილო და გიორგი გოჩიტაშვილო, დადგა დრო, ახლა ჩვენ გკითხოთ: თქვენ ვინ ხართ და საიდან მოდიხართ? თუმცა ისედაც ცნობილია, მაგრამ იქნებ ერთად წავსულიყავით იმ გზაზე, საიმედოც მიდის მთელი საქართველოს მიერ არჩეული ეროვნული პარლამენტი.

ვიცით, ჩვენს მიერ ნათქვამი სიტყვები ბევრი გულს მოგხვდათ, მაგრამ სიმართლეს თვალი უნდა გაუსწოროთ.

გაზეთ „ცხოვრების“ რედაქციას ვურჩევთ, რომ ისეთი სიტყვები, როგორიცაა, „ვინა ხარ“, „ჰალუცინაციები“, ნაკლებად იხმაროს, სხვა რომ არაფერი, ეს უტაქტობაა!

დარწმუნებული ვართ ვ. მჭედლიშვილი და გ. გოჩიტაშვილი ერთხელ მაინც, რომ შეხვედროდნენ ამირან კალაძეს, ან მისი ერთი წიგნი მაინც წაეკითხათ, ისინი ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს უკან წაიღებდნენ.

ბელა ნიკურაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ნუგზარ ბაბუაძე
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი
ზურაბ გოგიაშვილი
გიორგი დოლაბერიძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტები

P. S. შესაძლებელია პრესის საშუალებით ჩვენც წაგვეჩხუბოთ, მაგრამ პოლემიკაზე არ წავალთ, რადგან ისედაც უკვალოდ ცხადი და ნათელია.

„ეს! ამბრიკა, ამბრიკა...“

ანანიანი — ამბრიკოს ფიზიტაბლებში

საგრძნობი განსხვავება ასსამბლ „რუსთაველსა“ და საქართველო ბალეტის ეკვიპს სპეციფიკურ ასსამბლეს შორის, ეს უკანასკნელი 1960 წელს ჩამოვიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იგი პირველი ფოლკლორული ასსამბლეა იყო საქართველოდან. ბაზრ ბას ზეფიმტკვალიანმენ ნინო რამიშვილი და ილიკო სულხანიშვილი. ბოლოს იგი 1988 წელს იყო ამერიკაში. იგი ილეფილა ბა ქართველთან ნოემერ პირველ ეროვნულ ფოლკლორულ ასსამბლეაზე.

ასსამბლი „რუსთაველ“ ფორმიდან 1968 წელს, ცხოლილი ფესიკოოსის ანზორ ერქომაიშვილის მეერ.

ამ ასსამბლის გაბმამსვეგენელია ანა ანანიანი. ეგი ბ ბ ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომავალ შეხვედრამდე, მირანდა!

(დასასრული)

ლონდონის „როიალ ალბერტ ჰოლში“ წარმატებით გამოვედით. ამავე წლის ოქტომბერში სინგაპურში ვიყავით და წარმატება გვერგო იქაც. — იგონებდა მირანდა ხაინდრავა.

უფრო ადრე, კონსერვატორიის დამთავრებისთანავე, ფისო-მირანდა, საქართველოს მუსიკალური საზოგადოების კამერულ-ორკესტრს შეუერთდა. ცნობისათვის, — ამ ორკესტრს 1988 წლიდან დირიჟორი ვახტანგ-მაჭავარიანი ხელმძღვანელობდა. შემდეგ სწორედ მან შეკრიბა ყველა რესპუბლიკიდან საუკეთესო მუსიკოსები და ჩამოაყალიბა საკავშირო სიმფონიური ორკესტრი. მირანდამ ისიც შემატყობინა, რომ ლონდონში გამოსვლისას მათ ბ-ნი ალექსი მაჭავარიანიც ახლდა, რომლის ოთხ პიესას ორკესტრის შესრულებით ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს მსმენელი. ამას წინათ ყური მოვკარი, ქართველ ქალთა კამერული ორკესტრი დაარსებულა. ამის თაობაზეც ვკითხე მირანდას. სწორი ინფორმაციისათვის მოგიკრავს ყურიო — მითხრა. ქართველ ქალთა ეროვნულ კამერულ ორკესტრს გელა ჩაჩხიანი ხელმძღვანელობს. ნიჭიერი მუსიკოს-შემსრულებლებიც გვყავს — ქეთევან არსენიშვილი, ლიდა გოგავა, ნინო მელიქიშვილი, მანანა დუგლაძე, ნანა ძებისაშვილი და სხვები. წინა წელს ვიეალდის კონცერტი ორი ვიოლინოსათვის ლალი კორძახიასთან ერთად შევასრულე, ახლა კი ბახისა და ისევ ვივალდის კონცერტებს ვამზადებ სპარტაკ კორკოტაშვილის დირიჟორობითო.

განსაკუთრებულად ბედნიერ დღეებს თუ გამიმხელ-მეთქი, — შევეკითხე. — ყველაზე ბედნიერი ბავშვობაში თუ ვიყავი, ბაბუასთან ერთად რომ ვმუშაობდი. ბედნიერებას განვიცდიდი მაშინაც, დედაჩემის ბიძა, დიდი კონსტანტინე გამსახურდია ჩემს მოსასმენად რომ მობრძანდებოდა ხოლმე სამუსიკო ათწლედში. ბედნიერად ვგრძნობდი თავს, როდესაც ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა ბიჭვინთაში ჩამოვიდნენ. ბატონი მერაბი ვიოლინოს დაკვრაში მამეცადინებდა, ბატონი ზვიადი კი — ინგლისურ ენაში. ბედნიერება იყო, ალფრედ კურელას წერილში რომ წავიკითხე: „ვიოლინოს ახალგაზრდა ოსტატს, 1969 წლის აგვისტოს მოსაგონებლად (ბიჭვინთა).

მისი ხელოვნებით აღტაცებული მსმენელისაგან.

ბერლინი, 1969 წლის ნოემბერი, ქართული კულტურის დღეები“.

ჩვენს საუბარს ქალბატონი თათიაც შემოუერთდა.

— როგორც დედა, რას უსურვებ ფისოს-მეთქი — ვკითხე.

— სიკეთის, სიხარულის მეტი რა ვუსურვო. მეტი მინდა, რომ ივარჯიშოს, მეტი შექმნას. მე, როგორც მსახიობს, ბევრი შემძინა მირანდას დაკვრის მოსმენამ... ჩემი შვილი, თქვენც, ყველანი მინდა თავისუფალ, ბედნიერ საქართველოს მოესწროთ.

— ბებიობა არ გენატრება-მეთქი — ვკითხე.

—ძალიან მენატრება, მაგრამ თქვენს ხელში რას მოვესწრებიო (იცინოდა), მთლად თქვენი ბრალიც არ არისო — დაამოლა.

მერე ისევ ფისო-მირანდას მივუბრუნდი. ცხოველები მიყვარს ძალიან. ბავშვობაში კი სიამოვნებით ვძერწავდიო.

ჩვენთან, თბილისში, სამტრედიის ქუჩაზე, ერთ პატარა, სადად გაწყობილ ბინაში ხელოვნების მოკრძალებული მსახური დედა-შვილი ცხოვრობს. დედაც და შვილიც თავიანთი შემოქმედებით და ცხოვრებით ერთგულად დგანან ერის სამსახურში.

ირმა კეკელიძე

სხვა გაზეთებიდან

სტუდენტებმა თუ გაიწიეს...

სეულის „ხანკუკ“-ის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ნამდვილი შეტევა მოუწყეს აქ განათლების პრობლემებზე ლექციის წასაკითხად მისულ სამხრეთ კორეის პრემიერ-მინისტრს ტენ ვონს სიკს. სტუდენტები მას ლაყე კვერცხებს ესროდნენ, შენობიდან გამოსულს კი მუშტებიც დაუშინეს. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, პრემიერ-მინისტრს სერიოზული ტრავმა არ მიუღია („ტრუდი“ № 127).

მაო ძედუნის ქვრივმა თავი ჩამოიხრჩო

ყოველკვირეული „ტაიმ“-ის ცნობით, მაო ძედუნის ქვრივმა ციან ცინმა თავი მოიკლა. მან თავი ჩამოიხრჩო პეკინის მახლობლად მდებარე თავის ვილაში, სადაც ბოლო ათი წელი ზედამხედველობის ქვეშ ცხოვრობდა. ვარაუდობენ, რომ 77 წლის ციან ცინმა, რომელსაც ყელის კიბო სტანჯავდა, ამ გზით გადაწყვიტა საშინელი ტკივილებისგან თავის დახსნა“ („იზვესტია“ № 131).

რომანოვები... საოლქო კომიტეტში

გაზეთ „ტრუდის“ (№ 127) ცნობით, სიმფეროპოლში გაიხსნა გამოფენა „რომანოვები ყირიმში“. მასზე წარმოდგენილი ნივთები, გრავიურები, ლითოგრაფიები მეფის ოჯახის ყოველდღიურ ყოფაცხოვრებას აცნობენ დამთვალიერებლებს. რუსეთის მეფის პიროვნებას, მის ოჯახს, დღეს არაერთი გამოფენა, პუბლიკაცია თუ ტელეგადაცემა ეძღვნება და იქნებ ამ გამოფენის ამბავი არც გასცდენოდა სიმფეროპოლის საზღვრებს, რომ არა ერთი გარემოება. საქმისაა, რომ ექსპოზიცია პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის ყოფილ შენობაშია მოთავსებული. დარბაზს, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ პოლიტბიუროს წევრთა სამი თაობის წარმომადგენლების — სტალინის, ხრუშჩოვის, ბრეჟნევის პორტრეტები ეკიდა, ახლა მისი უდიდებულესობა იმპერატორისა და მისი ოჯახის წევრთა გამოსახულებები ამშვენებს.

ჰემინგუეის შვილიშვილმა ამპლუა შეიცვალა

ჰემინგუეის შვილიშვილმა მარგომ, რომელიც დიდხანს მუშაობდა ფოტომოდელად და ყველა თავის კონკურენტს გაუსწრო მაღალი ჰონორარებით, 35 წლის ასაკში ამპლუის შეცვლა გადაწყვიტა და... ამერიკული ფეხბურთის მატჩების კომენტატორობა დაიწყო. როგორც ამბობენ, ამ საქმეში მარგოს კიდევ მეტ თანხას უხდიან („რაბოჩაია ტრიბუნა № 109).

პიონერიის 45 წლისთავს... 45 ტანკი!

კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ძალზედ ორიგინალურად აღნიშნეს პიონერული ორგანიზაციის 45 წლისთავი. ქვეყნის მთელი ბავშვების მიერ შეგროვილი ჯართით ერთ-ერთ ქარხანაში 45 ტანკი დაამზადეს და სახელად „პიონერი-91“ უწოდეს. როგორც გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ წერს, 2 ივნისს პიონერებმა საზეიმოდ გადასცეს ქვეყნის არმიას სამხედრო მანქანები, ნორჩების ლოზუნგი ასეთი იყო: „აქტიურად ვმონაწილეობთ ქვეყნისა და ხალხის სასიკეთო საქმეში“.

განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: (ქართული სექტორი, დღის სწავლება) — „ქართული ენა და ლიტერატურა“; „ისტორია“; „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“; „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“.

შემსვლელები მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ დისციპლინებში:

სპეციალობებზე: „ქართული ენა და ლიტერატურა“, „ისტორია“ — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი); საქართველოს ისტორია (ზეპირი); უცხო ენა (ზეპირი).

სპეციალობაზე: „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“ — მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

სპეციალობაზე: „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა: 1. გამოცდები ჩატარდება ჩამოთვლილი დისციპლინების თანამიმდევრობით.

2. წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩატარდება შემდეგი წესით:

ა) აბიტურიენტები, რომლებიც შედიან სპეციალობაზე „ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვა“ და დამთავრებული აქვთ ქართული სკოლა, ტრადიციულად დაწერენ თხზულებას, ხოლო რუსული სკოლადამთავრებულები კი — წაკითხული არასაპროგრამო ქართული ტექსტის შინაარსს, რომელიც სირთულის მხრივ არ გასცდება სკოლის პროგრამის ფარგლებს.

ბ) აბიტურიენტებს, რომლებიც შედიან დანარჩენ სპეციალობებზე, მიეცემათ სამი საკითხი: ტექსტი, ტექსტის განხილვა, წინადადების გარჩევა.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), ექვსი ფოტოსურათი ზომით 3X4, პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება იწყარმოებს ა/წლის 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით ყოველდღე, დილის 10 საათიდან 18 საათამდე, კვირის გარდა, თსუ ახალციხის ფილიალში.

მისამართი: ქ. ახალციხე, რუსთაველის 91. ტელეფონები: 2-12-19; 2-19-90.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტზე საღამო და დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე შემოღებულია მეორე სპეციალობით მოქალაქეთა მომზადება.

მიიღება საბუთები იმ პირებისა, ვისაც დამთავრებული აქვს ერთი უმაღლესი სასწავლებელი, მაგრამ სამუშაოს ხასიათის გამო საჭიროებს მეორე სპეციალობის მიღებას.

სწავლება ფასიანია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ უნივერსიტეტის სასწავლო ნაწილს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა, მისამართით: თბილისი, ჰავჰავაძის გამზირი № 1. პირველი სასწავლო კორპუსი, ოთახი 37.

ტელეფონი 22-11-16.

რექტორატი

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი

აცხადებს 1991 წლისათვის სტუდენტთა მიღებას დასწრებული და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ ფაკულტეტებზე:

ზოოსაინჟინრო ფაკულტეტი — (ქართული და რუსული სექტორი) — ზოოინჟინრის სპეციალობით.

სავეტერინარო ფაკულტეტი — (დასწრებულ განყოფილებაზე ქართული და რუსული სექტორები, დაუსწრებელ განყოფილებაზე ქართული სექტორი) — ვეტერინარი ექიმის სპეციალობით.

დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილების ზოოსაინჟინრო და დასწრებული განყოფილების სავეტერინარო ფაკულტეტებზე მიიღებიან საშუალო სკოლის, საშუალო სპეციალური და პროფტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულნი.

დაუსწრებელი განყოფილების სავეტერინარო ფაკულტეტზე მიიღებიან ის პირნი, რომელთაც აქვთ საშუალო ვეტერინარული განათლება.

ინსტიტუტში შემსვლელთათვის სწავლების ორივე ფორმაზე მიღება გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში: ბიოლოგია (წერა); ქიმია (წერა); მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

განცხადება მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და აღნიშნოთ სწავლების ფორმა და არჩეული სპეციალობა. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი; სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086); ექვსი ფოტოსურათი (ზომით 3X4); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშობის სტაჟის მქონეთათვის); პასპორტს წარმოადგენენ პირადად. სასწავლებელში მოვლინებულმა უნდა წარმოადგინოს ერთიანი ფორმის მიმართვა.

აბიტურიენტთა საკონკურსო შერჩევა ტარდება მისაღებ გამოცდებზე დაგროვილ ქულათა რაოდენობის საფუძველზე.

კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათებით, ობლები და მშობლთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები, რომლებსაც გამოცდების დაწყებამდე არ შესრულებიათ 22 წელი, I და II ჯგუფის ინვალიდები.

საკონკურსო შერჩევა იწარმოებს ფაკულტეტებისა და სექტორების მიხედვით.

განცხადებები მიიღება 25 ივნისიდან 15 ივლისის ჩათვლით ყოველ დღე, გარდა შაბათი და კვირა დღისა, 10 საათიდან 16 საათამდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 17 ივლისიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში (ტელეფონი 72-11-64).

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი — კრწანისი, საქზოოვეტინსტიტუტი, ავტობუსი № 23.

1991 წლის 22 ივნისს 11 საათზე ინსტიტუტში შემსვლელთათვის აწყობს ღია კარის დღეს.

აბიტურიენტებს შეხვდებიან პროფესორ-მასწავლებლები, მიმღები კომისიის წევრები. არჩეულ სპეციალობასთან დაკავშირებულ საინტერესო საკითხებზე და მისაღები გამოცდების თავისებურებათა შესახებ მათ პასუხს გასცემენ მიმღები კომისიის წევრები. გაიმართება საუბარი ინსტიტუტის სტრუქტურის, სასწავლო პროცესის, მეცნიერების ცალკეული დარგებისა და მათი სპეციფიკის შესახებ.

მისამართი: თბილისი — კრწანისი, საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი, ავტობუსი, № 23.

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სინქრონული თარგმნის უმაღლესი კურსები

აცხადებს მსმენელთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე (ქართულ და რუსულენოვან განყოფილებებზე):

1. **თარჯიმანი;**
2. **მთარგმნელი რეფერენტი;**
3. **თარჯიმან-სინქრონისტი.**

კურსებზე მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები, რომლებიც ფლობენ ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ ან ესპანურ ენას.

ხელშეკრულების წესით მსმენელებად მიიღებიან აგრეთვე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებიდან, წარმოება-დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და საქართველოსა და უცხოური ფირმების ერთობლივი საწარმოებიდან მოვლინებული პირნი (წარმოებისაგან მოწყვეტით ან მოუწყვეტლივ) უმაღლესი კატეგორიის თარჯიმნის კვალიფიკაციის მისაღებად.

რეკომენდაცია-მიმართვას ინსტიტუტის რექტორის სახელზე თან უნდა ახლდეს შემდეგი საბუთები: განცხადება კურსების დირექტორის სახელზე, კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, 4 ფოტოსურათი (3X4), დიპლომის ასლი (ან დამოწმებული ცნობა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შესახებ), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

საბუთები მიიღება ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 15 საათამდე განცხადების გამოქვეყნების დღიდან 1991 წლის 20 ივნისამდე.

მისაღები გამოცდა-გასაუბრება ენაში ჩატარდება 24 და 26 ივნისს. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. სწავლების ვადა 2 წელია.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 45, ტელ: 22-71-82.

ინსტიტუტის რექტორი
პროფესორი
ბ. რამიშვილი

ცხრაკლასდამთავრებულებო! მისაღები გამოცდები არაა!

მხოლოდ გასაუბრებით არის მიღება ქ. თბილისის № 5 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ქართულ და რუსულ სექტორებზე.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო განათლების მქონე შემდეგი პროფესიების მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს:

1. **ავტოშემკეთებელი;**
2. **ზეინკალ-შემკეთებელი;**
3. **მექანიკურ ხამუშაოთა ამწყობი ზეინკალი;**
4. **ხარატი ფართო პროფილით.**

მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან უფასო ორჯერადი კვებით, გარდა ამისა, სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები ერთწლიან ჯგუფებში.

1. **ზეინკალ-შემკეთებელი;**
2. **ავტოშემკეთებელი.**

რომლებიც მიიღებენ სტიპენდიას.

საბუთები სათანადო ფორმით მიიღება 1 ივნისიდან, 9 საათიდან 16 საათამდე. სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ართვინის ქ. 53. ტელეფონი: 95-23-72 და 95-93-72. ავტობუსი № 29 კოლმეურნეობის მოედნიდან, სამარშრუტო ტაქსი 53 კ/თ „ნაკადულიდან“.

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის დღის და დაუსწრებელი განყოფილების შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1) ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (დღის და დაუსწრებელი განყოფილება), ბ) ბიბლიოთეკათმცოდნეობა და ბიბლიოგრაფია (ქართული სექტორი, დღის და დაუსწრებელი განყოფილება), გ) სომხური ენა, ლიტერატურა და ქართული ენა ლიტერატურა. დ) ქართული ენა და ლიტერატურა და რუსული ენა და ლიტერატურა.

2) რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) რუსული ენა და ლიტერატურა (დღის და დაუსწრებელი განყოფილება), ბ) რუსული ენა და ლიტერატურა, ეროვნული (ქართული) სკოლებისათვის, გ) აზერბაიჯანული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა.

3) ისტორიის ფაკულტეტი:

სპეციალობა: ისტორია (ქართული სექტორი, დღის და დაუსწრებელი განყოფილება).

4) პედაგოგიური ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და სახვითი ხელოვნება (ქართული და რუსული სექტორები) დღის განყოფილება. ბ) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება). გ) პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (სკოლამდელი) (ქართული სექტორის დღის და დაუსწრებელი განყოფილება), დ) მუსიკა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკა (ქართული სექტორი), ე) ლოგოპედია და დეფექტოლოგია (ქართული სექტორი).

5) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) მათემატიკა (ქართული და რუსული სექტორი), ბ) ფიზიკა (ქართული სექტორი).

6. ზოგადტექნიკისა და სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) შრომა (ქართული სექტორი), ბ) ხაზვა, სახვითი ხელოვნება და შრომა (ქართული სექტორი, დღის განყოფილება), გ) ხაზვა, სახვითი ხელოვნება (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება).

7. საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი:

სპეციალობები: ა) ქიმია და ბიოლოგია (ქართული სექტორი), ბ) ბიოლოგია და ქიმია (რუსული სექტორი), გ) გეოგრაფია და ბიოლოგია (ქართული სექტორი). დ) გეოგრაფია (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება).

ბოლნისის ფილიალის სპეციალობები დღის და დაუსწრებელი განყოფილებები

1. ქართული ენა და ლიტერატურა;
2. ისტორია (ქართული სექტორი);
3. შრომა (ქართული სექტორი).
4. ა) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და სახვითი ხელოვნება (დღის განყოფილება, ქართული სექტორი), ბ) დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (დაუსწრებელი განყოფილება, ქართული სექტორი).
5. პედაგოგიკა და ფსიქოლოგია (სკოლამდელი, (ქართული სექტორი).

შენიშვნა: ინსტიტუტში შემსვლელთა კონკურსი ეწყობა დამოუკიდებლად, ცალკეული განყოფილებებისა, სპეციალობებისა და სექტორების მიხედვით.

შემსვლელნი, არჩეული სპეციალობების შესაბამისად, მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).
2. ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის სპეციალობაზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (ზეპირი) ან უცხო ენა (ზეპირი) — არჩევით.
3. ქართული ენის, ლიტერატურის და რუსული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე—ქართული ენა, ლიტერატურა (წერა, ზეპირი). რუსული ენა, ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია. (ზეპირი).
4. ისტორიის სპეციალობაზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი).
5. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი), ან საქართველოს ისტორია (ზეპირი) — არჩევით, ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი) ან უცხო ენა (ზეპირი) — არჩევით.
6. რუსული ენისა და ლიტერატურის, (ეროვნული, ქართული სკოლებისათვის) სპეციალობაზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), უცხო ენა (ზეპირი), ან ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი) — არჩევით.
7. აზერბაიჯანული ენის, ლიტერატურის და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე — აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი), ან. საქართველოს ისტორია (ზეპირი) — არჩევით.
8. სომხური ენის, ლიტერატურის და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე — სომხური ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი), სსრკ ისტორია (ზეპირი) ან საქართველოს ისტორია (ზეპირი) — არჩევით.
9. დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, მეთოდიკის და სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე (ქართულ სექტორზე) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა).
10. დაწყებითი განათლების პედაგოგიკის, მეთოდიკისა და სახვითი ხელოვნების სპეციალობაზე (რუსული სექტორი) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ან სსრკ ისტორია (ზეპირი) — არჩევით. სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა).
11. პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის (სკოლამდელი) და ლოგოპედია, დეფექტოლოგიის სპეციალობებზე — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
12. მუსიკისა და აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკის სპეციალობაზე — სპეციალობა (ფორტეპიანო ან საორკესტრო საკრავები და ვოკალური მონაცემები), მუსიკის თეორია, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
13. მათემატიკის (ქართული და რუსული სექტორები) და ფიზიკის (ქართული სექტორი) სპეციალობებზე — მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).
14. შრომის სპეციალობაზე — მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ხაზვა, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
15. ხაზვის, სახვითი ხელოვნებისა და შრომის სპეციალობაზე — სახვითი ხელოვნება (ხატვა, ფერწერა), ხაზვა, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა) მათემატიკა (ზეპირი).
16. ქიმიისა და ბიოლოგიის სპეციალობაზე — ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), მათემატიკა (ზეპირი, ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
17. ბიოლოგიისა და ქიმიის სპეციალობაზე (რუსული სექტორი) — ბიოლოგია (წერა), ქიმია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა) ფიზიკა ზეპირი.
18. გეოგრაფიისა და ბიოლოგიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
19. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება) — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).
20. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკის სპეციალობაზე (რუსული სექტორი დაუსწრებელი განყოფილება) — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), მათემატიკა (წერა), სსრკ ისტორია, ან საქართველოს ისტორია (ზეპირი) — არჩევით.
21. გეოგრაფიის სპეციალობაზე (ქართული სექტორი, დაუსწრებელი განყოფილება) — ქართული ენა, ლიტერატურა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), ბიოლოგია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

შენიშვნა:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერითი გამოცდები ჩატარდება ტრადიციული ფორმით— ორი თემა ლიტერატურული მასალიდან და ერთი კი თავისუფალი.
2. მისაღებ გამოცდებზე დადებით შეფასებათა მიღების შემთხვევაში უკონკურსოდ ჩაირიცხებიან: თადარიგში დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ მთავრობის მიერ დადგენილი შეღავათებით. ობლები და მშრომელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვები I და II ჯგუფის ინვალიდები.
3. ის პირები, რომლებმაც ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დაამთავრეს ოქროს (ვერცხლის) მედლით, აგრეთვე საშუალო სპეციალურ [illegible] პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებული წარჩინების დიპლომით ჩაბარებენ ყველა საგანს.

ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება საშუალო განათლების ბაზაზე საშუალო-პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებლების წარჩინებით კურსდამთავრებულებზე.

ინსტიტუტში შემსვლელს შეაქვს განცხადება რექტორის სახელზე. განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), აღნიშნულ ცნობაში მუსიკის სპეციალობაზე შემსვლელთათვის დამატებით უნდა იქნეს დასკვნა ლარინგოსკოპიული შემოწმების შესახებ, 3. ექვსი ფოტოსურათი (ზომა 3X4). 4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), კოლმეურნეებს შრომის წიგნაკში მითითებული უნდა ჰქონდეთ კოლმეურნეობაში დაწესებული შრომადღეების მინიმუმი. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან შევსებული უნდა იყოს ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპდასმულ ფურცელზე რეგისტრაციის ნომრისა და საბუთების გაცემის თარიღის აღნიშვნით. იგი დამოწმებული უნდა იყოს მრგვალი ბეჭდითა და წარმოების ხელმძღვანელის პირადი ხელმოწერით. 5. პასპორტს შემსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადება მიიღება 25 ივნისიდან 15 ივლისამდე (ჩათვლით) 10-დან 16 საათამდე ყოველდღე გარდა კვირა დღისა.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 17 ივლისიდან.

1 ივლისიდან, 15 ივლისამდე მოეწყობა კონსულტაციები ყველა საგამოცდო დისციპლინაში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის ცნობათა ბიუროში.

ინსტიტუტის მისამართია: 380079, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 32 სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

მიმღები კომისია

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება

1991 წლის 10 ივნისს, ორშაბათს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ცენტრალურ შტაბბინაში (რუსთაველის გამზირი 29) გაიმართება პარტიის წარმომადგენელთა პალატის სხდომა. სხდომა მუშაობას დაიწყებს 14 საათზე.

თბილისის, მცხეთის, ლამისყანის, ახალგორის, გორის, ხაშურის, რუსთავის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, საგარეჯოს, სიღნაღის, დედოფლის წყაროს, ლაგოდეხის, გურჯაანის, თელავის, დუშეთის, ქუთაისის, ვანის, თერჯოლის, ზესტაფონის, ხარაგაულის, ჭიათურის, წყალტუბოს, ტყიბულის, მარტვილის, ჯვრის, ზუგდიდის, სენაკის, გალის, ფოთის, სოხუმის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქობულეთის, ბათუმისა და ბორჯომის საქალაქო და რაიონული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების ხელმძღვანელებს ევალებათ გამოცხადდნენ წარმომადგენელთა პალატის სხდომაზე.

პირველად

საკალუტო აუქციონი

საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი

თბილისის უნივერსალური ბირჟა

ინვესტორ

ორგანიზაცია — დაწესებულებებს, საწარმოებს, კოოპერატივებს და სხვა იურიდიულ პირებს

გაყიდონ ან შეიძინონ ვალუტა

აუქციონში მონაწილეობის შესახებ და დამატებით ცნობებზე მიმართეთ საუქციონო კომიტეტს მისამართით:
თბილისი, 9 აპრილის ქ. 5, ტელ. 98-71-09
(კერძო პირები აუქციონში არ მონაწილეობენ)

ალორძინება–არგო

გვერდის სპონსორები [illegible] საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო-საწარმოო კოოპერატივი „ბიოტრონი“ გთავაზობთ ახალი ტიპის ინდივიდუალური ხმარების ეპილატორს

ხელსაწყოს მუშაობის პრინციპი დამყარებულია მსოფლიოში ახლად აღიარებულ ელექტროლიზის მეთოდზე, რომელიც თავისი შედეგებით ბევრად უფრო ეფექტურია დღემდე ცნობილ კოაგულაციის (წვის) მეთოდთან შედარებით. ამ უკანასკნელი პრინციპით მომქმედი დანადგარები წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში საერთოდ ამოღების პროცესშია.

ეპილატორი „მიკრონ-1000 მდ.“ წარმოადგენს პორტატულ, მარტივ ხელსაწყოს, რომელიც აპრობირებულია საქართველოს რესპუბლიკისა და საკავშირო ჯანდაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია სახელმწიფო სტანდარტების კომიტეტში.

ეპილატორი არ საჭიროებს მომხმარებლის სპეციალურ თეორიულ მომზადებას, საკმარისია თანდართული ინსტრუქციის ყურადღებით წაკითხვა. თმის ძირის სრული დაშლის ალბათობა მისი სწორად დამუშავების შემთხვევაში შეადგენს 80-90%-ს. საგარანტიო ვადა — 1 წელი.

ფასი 125 მანეთი.



ეპილატორ „მიკრონ-1000-მდ“ კოოპერატივ „ბიოტრონის“ ადგილსამყოფელიდან არ გაიცემა.
ეპილატორის შეძენა შეგიძლიათ ქ.თბილისის ქვემოთ ჩამოთვლილ უნივერმაღებსა და პარფიუმერიის მაღაზიებში:

1. ცენტრალური უნივერმაღი — მარჯანიშვილის ქუჩა;
2. ცენტრალური უნივერმაღი „მოსკოვი“ — მოსკოვის პროსპექტი;
3. ცენტრ. უნივერმაღის ფილიალი № 20 — რკინიგზის სადგურის მიწისქვეშა გასასვლელი;
4. ცენტრ. უნივერმაღის ფილიალი № 20 — ქეთევან წამებულის პროსპექტი (ყოფილი შაუმიანის);
5. „ბავშვთა სამყარო“-ს პარფიუმერიის სექცია — რკინიგზის სადგურთან;
6. საჩუქრების მაღაზია № 1 — თავისუფლების მოედანი;
7. საჩუქრების მაღაზია № 2 — მარჯანიშვილის მოედანი;
8. პარფიუმერიის მაღაზია № 80 — გამსახურდიას გამზირი (ყოფილი პეკინის ქუჩა);
9. პარფიუმერიის მაღაზია № 8 — ფილარმონიის მიწისქვეშა გასასვლელი;
10. პარფიუმერიის მაღაზია № 84 — კოლმეურნეობის მოედანი, მიწისქვეშა გასასვლელი;
11. პარფიუმერიის მაღაზია № 109 — თავისუფლების მოედანი;
12. პარფიუმერიის მაღაზია № 95 — რუსთაველის მოედანი;
13. პარფიუმერიის მაღაზია № 94 — მარჯანიშვილის მოედანი;
14. პარფიუმერიის მაღაზია № 88 — დაღმაშენებლის პროსპექტი;
15. პარფიუმერიის მაღაზია № 98 — დაღმაშენებლის პროსპექტი № 7 (ყოფილი მარქსის მოედანი).

მცირე სახელმწიფო საწარმო „ბიზნეს-ინფორმატიკა“

მცირე სახელმწიფო საწარმო (მსს) „ბიზნეს-ინფორმატიკა“, რომლის დამფუძნებელია სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, სთავაზობს ყველას თანამედროვე IBM PC/XT/AT-ის ტიპის კომპიუტერებთან მუშაობის შესწავლის მოკლევადიან კურსებს.

კურსები განსაზღვრულია სხვადასხვა წინასწარი მომზადების მქონე მსმენელისათვის: დაწყებული ახალბედიდან, დამთავრებული სოლიდური მომზადების მქონე მომხმარებლით.

მსმენელთა ჯგუფები მცირერიცხოვანია — არა უმეტეს 8 კაცისა. ამასთან აუცილებლად დაცული იქნება პირობა — ყოველ მსმენელს ცალკე პერსონალური კომპიუტერი.

სწავლების ვადა და პროგრამა განისაზღვრება ჯგუფის წევრთა ინტერესებით და საწყისი მომზადებით. სწავლებას გაუძღვებიან უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები.

სწავლების კურსის გავლის შემდეგ ახალბედებს შეეძლებათ დამოუკიდებლად მუშაობა ყველაზე თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერზე, ხოლო მომზადებულ მომხმარებელს შეეძლება შეისწავლოს: ტექნიკური რედაქტორები, სერვისული პროგრამები, ელექტრონული ცხრილები, დაპროგრამების ენები, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები, გრაფიკული პაკეტები, სტატისტიკური პაკეტები და სხვა.

კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს შეეძლებათ შეიძინონ მათ მიერ შესწავლილი პროგრამები ჩაწერილი მაგნიტურ დისკოზე შესაბამისი აღწერით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, 9 აპრილის ქუჩა №6, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, მსს „ბიზნეს-ინფორმატიკა“, ტელეფონები: 93-77-19, 93-76-47.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლოკი“

ფეხსაცმლის კოოპერატივ „პითონს“ ესაჭიროება მკერავები და მეწაღეები. ხელფასი ურთიერთშეთანხმებით.
ტელეფონი 37-72-73 ან 38-48-98
მისამართი: ლ.გოთუას ქ. 16, ბინა 49.

ექსტრასენსთა ხელების იშვიათი სითბო...

ბუნება მბრძანებელია, იშვიათი მადლით აჯილდოებს ადამიანს, ჩვენივალია ღვთით მომადლებული ეს წყალობა ვუწილადოთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელი სიცოცხლე და დღეგრძელობა.

ამიტომაა, რომ ექსტრასენსთა ბუნებით ნაბოძებ სიკეთისაკენ ასე უშურველად მიილტვიან ადამიანები, რადგან ჯანმრთელობა ყოველთვის გადასწონის ათასი მზის ელვარებას...

ახალგაზრდა, უხვი ბიოენერგიის მქონე ექსტრასენსები:

ირმა და გოჩა ნადირაძეები ქალაქში დაბრუნებისთანავე ჩადგნენ ადამიანთა ჯანმრთელობის სამსახურში და საკმაო პოპულარობა მოიპოვეს.

და-ძმა ნადირაძეებს აქვთ იშვიათი უნარი ავადმყოფთათვის უტყუარი და ზუსტი დიაგნოზის დასმისა.

და-ძმა ნადირაძეები კურნავენ შემდეგი სახის დაავადებებს:

სისხლძარღვოვან დისტონიას, ჰიპერტონიას, თავის ტკივილებს, მხედველობის დაზიანებას, ალერგიას, უძილობას, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, გინეკოლოგიურ დაავადებებს და სხვა.

ირმა და გოჩა ნადირაძეები ავადმყოფებს იღებენ საქველმოქმედო სამედიცინო გაერთიანება „იბერია 1991“-ში ყოველდღე 17^{00} საათიდან 20^{00} საათამდე. შაბათ-კვირას 11^{00} საათიდან 15^{00} საათამდე.

მისამართი: წინამძღვრიშვილის ქ. №126 (ყოფილი კლარა ცეტკინის ქუჩა)

ვყიდი

ერთოთახიან კერძო (შეუყიდულ), იზოლირებულ ბინას ბარნოვის ქუჩაზე, ვაკის პარკთან.

შესაძლოა გაცვლა თბილისის მახლობლად, აგარაკზე.

ტელ: 23-20-85

ვიწვევთ მოსამზადებლად

1. ჰუმანიტარული, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური სპეციალობის ასპირანტებს და მაძიებლებს საკანდიდატო მინიმუმისათვის ფილოსოფიაში 2. მაპროფილებელ საგანში — ჰუმანიტარული განხრით უმაღლესდამთავრებულებს, აგრეთვე სტუდენტებს, რომლებსაც განზრახული აქვთ ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში, პედაგოგიკაში, სოციალოგიაში, ეთიკაში, ესთეტიკაში, პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ან რელიგიის ისტორიასა და თეორიაში დასპეციალება, ასპირანტურაში შესვლა ან დაუსწრებლად საკანდიდატო მინიმუმის ჩაბარება. საგნის შესწავლის და სავალდებულო სამეცნიერო-საკვალიფიკაციო მასალის მომზადების პროცესში მსმენელები შეისწავლიან მეცნიერული მუშაობის საფუძვლებს (თემის არჩევა, მეცნიერული კვლევის ეტაპები, ინფორმაციის მაქსიმუმის მოპოვების მეთოდები, დაგროვებული ინფორმაციის წერილობითი გაფორმების ვარიანტები, ზეპირი და წერითი კამათის ხელოვნება და სხვ.) კონსულტაციები ინდივიდუალურია.

მისამართი: თბილისი, გამსახურდიას ქ.№19, მე-8 სად. ბ.155
მიიღებ ოთხშაბათს და პარასკევს 18-დან 20 საათამდე.

კერძო ტაქსების საყურადღებოდ!

კოოპერატივი „სავანე“ იწვევს სამუშაოდ კერძო ტაქსების მძღოლებს. გადასახადი მინიმალურია — თვეში 30 მანეთი.

მისამართები:

1) გლდანის რ-ნი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია. წითელი ჯიხური წარწერით „სავანე“.

2) ბუდაპეშტის ქუჩა № 1, საქველმოქმედო ასოციაცია „ალორძინების“ შენობა. კოოპერატივი „სავანე“.

ფირმა „ჰუმანიზმი“ მუდმივ სამუშაოზე იწვევს მძღოლ-მემანქანეს მაღალი ანაზღაურებით.

ჩვენი მისამართია: ლერმონტოვის ქ. №19.

ტელ: 93-20-76.

ვყიდი

გაზ-24 მარკის 8 წლის მანქანას.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: ლოტკინი, გომართელის 86, მიშა.

ვქირავებ კოოპერატივზე კერძო ბინას ვაკისა და ნაძალადევის რაიონებში. დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 36-18-71

ფირმა „ბაზილიკა“-ს ესაჭიროება გამყიდველები.

ცნობებისათვის დარეკეთ 17^{00} საათიდან 20^{00} საათამდე ტელეფონზე: 22-20-80

ახალგაზრდა ივერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Иверели»

ტელეფონები: მისაღები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-09-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ზურაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, გ. კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით ნაგაზეთო კორპუსში, ხომარეულის № 29 [illegible] 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096 გ. კოსტავას ქ. № 14.